

ქორწილი

ჯვრისწერას ვერ მოუსწარი. ჯერ კიდევ შორიდან მესმოდა და-
ირის ხმა, ტაში და უდარდელი სიცილი. როცა ჭიშკარში ჩავედი.
ქორწილი გაჩაღებული დამხვდა. ეზო ღობეზე მიბმული ცხენებით
იყო სავსე. ჩრდილში ისხდნენ სტუმრები და შეექცეოდნენ: იქ კამა-
თელს აგორებდნენ, აქ ბანქოს არიგებდნენ; ორი ყმაწვილი ცაცხვის
ძირში იდგა; ერთი საიდუმლოდ ჩასჩურჩულებდა, მეორე კი რე-
ვოლვერს სწმენდდა; მაღალი აივნის ახლო, კაკლის შტოებქვეშ
უფრო საპატიო სტუმრებს, უფრო მოხუცებულთ, მოეყარათ თავი
და თითქოს ბჭობა აქვთ ქვეყნის სვე-ბედზეო, დიდის სიჩუმისა და
ფიქრის შემდეგ დინჯად იტყოდნენ ორიოდ სიტყვას: "კაი კაცია
ჩვენი ბოქაული", "უბედური როსტომი გადაცვლილა", "ერთი ორი
კვირე და მთებს დათოვს", "თუ კიდო არ გათავდა ჩვენი ტყის გა-
ყოფა, დეილუპეთ, შენი მტერია. ორმოცი წელიწადი კი იქნება,
რაც საქმე სწარმოებს და საშველი არაფერი მიეცა".

ამ ღრმად ნაგრძნობს და ასჯერ გაზომილს სიტყვებს ძველებუ-
რად, ჩვენებურად, სიდინჯით და სიტყვის დაფასებით უპასუხებ-
დნენ: "მართალი ბრძანებაა", "აცხონოს ღმერთმა, მთელი გვარის
თვალი იყო", "ილუპება. ბატონო, თავადაზნაურობა, მარა გამკი-
თხავი ვინ არის".

ცხენი ჩამომართვეს.

მომეგებენ.

მივეგებე.

ახალი სიძე გამაცნეს.

ნეფე-დედოფალს, მათ დედ-მამას მივულოცე.

-- ეს ჩვენი ახალი რძალია, ბესოს ცოლი, ლამაზობას ჩემობს,---
ხუმრობით გამაცნო ლიზიკომ ერთი ქალი.

უპასუხა ახალგაზრდა ქალმა.

-- მთლად უცხო არ გახლავარ. --- მივუგე მე, -- ბესო ჩემი ბა-
ბუდაშვილია.

-- ძლიერ სასიამოვნოა! --- და ქალმა მაშინვე რაღაც შეუმჩნე-
ველი დაახლოება მაგრძნობინა,--თქვენმა მზემ, თვითონ მეუბნე-
ბოდა დილით, მაყრებს გადავრევო! პატარძალისთვის არ გვიცმევია

-- შენი ჩიხტა-კოპის პატრონი რომ კიდევ მე დამცინოდეს!

მარტო კავების გრეხა რათა ღირს! მერე იცი, აგერ ორი წელიწადია
ჯვარი დეიწერა და სულ მის ბესოსთან უნდა ჯდომა... სადილზე
ვერაფერს უხერხებთ -- ამოუსკუპდება გვერდში!.. ამდენს სიტყვას
იტყვის და ზედ დაუმატებს: "ბესო არ მამიკვდეს, ქა!"

- აი ასე მაჯავრებს მუდამ...

- ჰო, მართალია,--ლიკლიკებდა მხიარული ლიზიკო,--აი ამას
ვკითხოთ: "მატიანე" უნდა თუ "მეიტანე". ვერ დავასწავლე ქრის-
ტიანული ქართული-სულ "მატიანე", "მამეცი", "მამიკვდეს"-ო
გაიძახის...

-- არც ერთი არ ვარგა... --- გადავწყვიტე მე.

-- შენც ერთი დამიწყებ ახალ-ახალ ამბებს,---შემომწყრა ლი-

ზიკო, - აბა როგორ უნდა?

-- მოიტანე, მომეცი!..

-- ჰე, ჯანი გავარდნია!.. "მაიტანე მაინც არ ვარგა, ბესო არ მამიკვდეს!"- გადიკისკისა ლიზიკომ.

ჭიშკარი გაიღო.

-- ბესო მოდის!.. -- ჩაუჩურჩულა ქეთომ ლიზიკოს.

-- აბა, აწი რალა გიჭირს?! -- უპასუხა ლიზიკომ.

ჭიშკრის გაღებისთანავე მოისმა ბესოს ხმა:

-- დასცხეთ, აბა ერთი, თქვენი ჭირიმე!..

მხიარულმა ზურნამ საერთო ყურადღება მიიქცია.

-- შე გადარეულო, შენ!.. ვერ მოითმინე ერთი წუთი -- აქ გექიფნა, დაგვხმარებოდი სტუმრების გართობაში...--უსაყვედურა დიასახლისმა.

-- არაფერია, ბიცოლა, მოვასწროფ აქაც... ამ შენ სტუმრებს სულ სუფრის ქვე შევამძვრენ...

-- ვნახოთ!.. --- ცოტა უსიამოთ უპასუხა ერთმა მაცართაგანმა.

ბესო აივანზე მარდათ ავიდა, პატარძალი გადაკოცნა და სიძეს მოუბოდიშა:

-- უკაცრავად, ჩემო კოწია, რომ დავიგვიანე,--კოცნით ეუბნებოდა ბესო, -- მაგრამ უზურნოთ ჩემი სონას ქორწილი არ მინდოდა დამეტოვებია.- აქ, დუქნებზე ვერ ვიშოვე, ბაზარშიაც გამიჭირდა... წარმოიდგინე ვაჭრები დანებებას არ მიპირებდნენ... ჯერ პატიოსნად უთხარი, კოწია დღეს ჩემს ბიძაშვილზე ჯვარს იწერს, ზურნა, თუ შეიძლება, დამითმეთ-მეთქი. წადი, მითხრეს, საქეიფოთ ახლა დავსხედით და კოწია კი არა, დავით და კონსტანტინე რომ იწერდნენ ჯვარს. ვეახლებით ჩვენივე ზურნით, დათმობით კი ვერ დაუთმობთო... გავბრაზდი, თქვე ვირისთავებო, დავით და კონსტანტინე რა თქვენი სახსენებელია-მეთქი... ცოტა ზარხომათ მაშინაც ვიყავი, დავატანე დარჩო-მედუდუკეს ხელი და გამევიგდე წინ... დარჩოს უმისოთ რას გააწყობდნენ დანარჩენი მეზურნეები... ისინი გამომყევენ... ვაჭრებმა - ერთი ცხვარი მეც მნახეს, -- წინააღმდეგობაზე დადგენ, შევბურძამყდით, მარა...--ბესომ ჩაიცინა, იმ უსინდისობებმა ახალოხი კი მომაჭრეს... ზურნათ არ გამოადგებათ, ჭრილობის შესახვევათ არ ეყოფათ..

-- ქა, რას ამბობ?.. შენც არ იყო დაკოდილი? --- გაიწია ბესოსკენ ქეთომ.

ამ სიტყვებმა სიცილი გამოიწვია.

-- ნუ გეშინია, ჯერ ყოჩაღათ ვარ! -- სიცილითვე უპასუხა ბესომ.

ქეთო შეკრთა, მიიხედა-მოიხედა, რა ვთქვი ასეთიო და დარცხვენილმა ისევ ლიზიკოს გაუყარა მკლავში ხელი, თითქოს მფარველობას სთხოვსო.

-- აკი გითხარი ---ქრისტიანულად ილაპარაკე-თქო! ჩასჩურჩულა ლიზიკომ.

-- ახლა შენთან" ვარ, კოწია, შენ გენაცვალე! შენ ქორწილზე

უნდა ვიქეიფო რჯულზე, რომ არ დაგავიწყდეს ძმაბიჭობა, დარ-
დიმანდობა, ახალგაზრდობა, რომ ცოლის შერთვამ არ შეგცვალოს.
მუდამ ახალგაზრდა და მოქეიფე დარჩენილიყვე!.. --- დაათავა თა-
ვისი სიტყვა ბესომ და მეზურნეებს გადასძახა:

-- აბა ერთი ლეკური!

ბესო აივნიდან ეზოში ჩამოვიდა.

-- პირველად ნეფე-დედოფალმა უნდა იცეკვოს!..

-- კოწია! კოწია! -- დაუჭირეს პირველს მხარი.

-- ვარდენ, გვასახელე ერთი... ჩამოუარე ორბივით, --- მიმართა
ბესომ ერთ ყმაწვილს. კოწია სადღაც სუფრაზე მიღებული ჭრილო-
ბისაგან კოჭლობდა და ბესოს არ უნდოდა ძველი მეგობარი და
ახალი სიძე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო.

უცნობი ყმაწვილი მართალაც ორბივით გამოვარდა წრიდან. ჩა-
მოისრიალა, გაჩერდა ქეთოს წინ და თავი დაუკრა.

ქეთო გაჰყვა.

მთელ სინაზეს სიყვარულისას, კრთომას გრძნობისას, მორიდე-
ბას და აღტაცებას ხატავდა ცეკვით და რხევით.

ქეთო კი გადაჭრით უპასუხებდა, ნუ დამდევ, ნუ მაწუხებო, თავ-
ხედობ, ჩემთან რა საქმე გაქვსო.

მათი ცეკვა ტრაგედიის პატარა ნატეხი იყო.

ქეთომ მალე გაათავა.

ტაშმა დააჯილდოვა ისინი.

-- ახლა შენ იცეკვე, ბესო, შენ! --- შეეპატიჟენ ბესოს.

- შენ და ქეთომ... --- დაუმატა ლიზიკომ.

ნიშნად მადლობისა ქეთომ მუჯლუგუნი წაჰკრა ლიზიკოს და
რიყვარულით შეხედა.

-- აბა, ნუ გამამტყუნებ! - თხოვა კოწიამ. -- ნეფე მბრძანებე-
ლია! --- და ბესომ ხელი გაშალა.

თავის დაკვრა არც კი აცალა.

ბურქებიდან გამოჰარული ხოხბის ჭუჭყულივით გამოვიდა ქეთო
წრიდან.

ახლა სხვაგვარად ცეკვავდა ქეთო.

გაურბოდა, თან რხევით ეუბნებოდა, არ დამშორე არ მომკ-
ლაო, თავს დახრიდა გაშლილ მკლავთა შორის, რომ გასხლეთოდა,
მაგრამ აღიზიანებდა, ხელი რათ არ მომხვიეო... შორიდან მოცურე-
ბული ნაზად ირგლივ ტორტმანებდა, მწვავე ფიქრით აღვსებული,
შევეხო თუ გავშორდეო...

ბესო კი ლალი და გაბარებული, რომ ხელში ჰყავდა დამონებუ-
ლი, მხოლოდ ქალის ბავშური თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებ-
ლად დასდევდა, თავს ევლებოდა, ეხვეწებოდა და მჭმუნვარებას
ემღეოდა. თორემ იცოდა. რომ ხელში ჰყავდა დამონებული.

ეს იყო იდილია.

ქეთო მთელი საუკუნო ასე იცეკვებდა. რომ ბესოს არ ჩაეფუ-
ჩუნა:

-- გაათავე, გენაცვალეო!

სახეგაწითლებული კმაყოფილი ქეთო უკანასკნელად შემოტრი-

აღდა, პირმცინარმა ბესოს და მერე მთელ საზოგადოებას თავი და-
უკრა, თითქოს კითხულობდა ჩვენმა ტრფიალმა თქვენც ხომ გასია-
მოვნათო.

დიდხანს არ შეაწყდებოდა ტაში და ვაშას ძახილი, რომ ქორწი-
ლის გამგეს, ოჯახის ერთ ახლობელ ნათესავს არ მივეპატიუნეთ:

- მობრძანდით. ბატონებო, მობრძანდით, სადილი მიირთვით.

ჩვენც ზღაზვნით, ნელ-ნელა, ჩვეულებისამებრ უკან ხევით, გზის
დათმობით ავდიოდით აივანზე.

გამგე გვაჩქარებდა.

-- უკაცრავად, სადილო დაგვიგვიანდა... ახლა მაინც დროზე
დავჯდეთ...

დავსხედით.

მე კარგ ადგილას მოვხვდი; ლიზიკო გვერდში იჯდა, ქეთო წინ,
კოტა დაშორებით. ბესომ სუფრის მეორე თავში. ნეფე-დედოფლის
პირდაპირ აირჩია ადგილი.

ჰგავს, გრძნობდა, თამაღობა არ ასცდებოდა.

და მართლაც ერთხმად აირჩიეს.

-- შეხედე, შეხედე ქეთოს, --- წამკრა ხელი ლიზიკომ, -- რო-
გორ გახარებულა, მისი ბესო რომ აირჩიეს.

-- სრულიად არა! --- იმართლებდა თავს ქეთო.

-- ძმაო კოწია! --- მიმართა თამაღამ ნეფეს, -- ბევრს ამის
მეტად არც კი უნახავხარ, მარა ნათქვამია -- გულს გული იცნობ-
სო... ამიტომ რაკი ჩვენს ოჯახში შემოდგი ფეხი, დაუმოყვრებლად
ვერც ჩვენ გაგიშვით და არც შენ დაგვშორდი. გისურვებ. რომ
დღევანდელი საუკუნო კავშირი ყოფილიყოს თქვენდა საბედნიე-
როდ და მშობელთა სანუგეშოთ. გამარჯობა თქვენი, დაო სონა
და ჩემო ძველო მეგობარო, აწ კი ძმაო, კოწია! ალავერდი, ბატონე-
ბო!..

-- იახშიოლ, იახშიოლ!.. ყოჩაღ, ბესო! აი გამოგვადგა ტოლუმ-
ბაში, -- გაისმა სუფრაზე.

ქეთო, ეტყობოდა დარწმუნებული იყო, რომ ამაზე უკეთესად
სმურის თქმა, ნეფე-დედოფლის დალოცვა. შეუძლებელია და მორ-
ცხვი. თავდაჭერილი ამპარტავნებით თავს ქვევით ხრიდა. რათა არა-
ვის შეემჩნია მისი ბედნიერება და მისი სიხარული.

ლიზიკოს მივუბრუნდი, ჩუმად ვკითხე:

-- ბესოსაც ასე გაგიჟებით უყვარს ქეთო?

- თავისებურად მაგასაც შეიძლება უყვარდეს, მარა -- რაა მა-
გის სიყვარული?.. სახლში ნახევარჯერ არ არის. შია ქეთოს თუ
სწყურია არ იცის...

- სად დადის?

-- სად წავა?! გადავა დუქნებზე, დათვრება და ნაშალ-ფარასა-
ვით გადაყვება ვისმე.

-- დარჩა კიდევ რამე საქეიფოდ?

-- ამ სოფელში მინგრეულ-მონგრეული ეზოს მეტი არაფე-
რი, მარა მთაში აქვს, მგონი, კარგი ნაწილი; ხან ყიდის, ხან აგირა-
ვებს, ხან მეჯოგეს ორ-სამ მანეთს წააფცქვნის და მერე კვირაობით

დაიკარგება... ქეთოს კი ზოგჯერ შია, პირდაპირ შია. მაგრამ ქეთო ნამდვილი ანგელოზია. ერთ საყვედურს არ ეტყვის, არ უნდა, არ შეუძლია ოდნავაც არის შეაწუხოს... პირიქით ამართლებს ყოველთვის ბესოს... აი გუშინწინ...

ბესომ ხელი შეგვიშალა--ვეებერთელა ყანწით ჩემთან ალავერდს გადმოვიდა.

მე უარზე ვიდექ.

ბესო მამალებდა.

-- კარგი, ახლა ნუ შეგვაწუხებ შენი პატივისცემით. -- გამომე-სარჩლა ლიზიკო.

ქეთოს ეწყინა, რომ ბესოს ლიზიკო უკმეხად მოეპყრო და საყვედურით შეხედა.

-- აი, ასეა მუდამ... --- გადმომილაპარაკა ლიზიკომ. --- თუ ბესოს ვინმემ ერთი სიტყვა შეუბრუნა, მოიღუშება... ჰო, იმას ვეუბნებოდი, გუშინწინ ქეთოსთან გადავედი. ბესო არ იყო სახლში. ქეთოს პურის ზელა დაეწყო... მეც კი დამერიდა. ბოლოს დამალვა რომ ვერ მოახერხა, მითხრა:

-- ჭა, რა უბედურებაა, არ იზილება და არც ხელიდან მშორდებაო! -- კიდეც გასცინა ლიზიკომ, რომელსაც შინაურები მიმბაძველი ლაპარაკისათვის "ჩხიკვს" უმახდით.

-- ლიზიკო სულ ჩემზე ლაპარაკით გაწუხებს, არა?! --- ჩაგვერია ქეთო ლაპარაკში... ცალკე სიტყვები მასაც უსათუოდ ესმოდა.

* *

სმურს სმური მოჰყვა. თითო ჭიქა ორ-ორით შესცვალეს, ყანწის მაგიერ ბადია აიღეს ხელში და ქეიფი ლოთობაზე გადავიდა.

ქალები ადგენ. მათ აჰყვა, ვინც ხანგამოშვებით, ცოტ-ცოტას სვამდა. მოხუცნი მოსასვენებლად წავიდენ, პატარები სათამაშოდ. დარჩენ გამობრძმედილი მსმელები.

ქიშპობა იყო მოსულთა და დამხდურთა შორის.

ორივე მხრიდან ადგა რამდენიმე სრულიად გონებადაკარგული ფეხის ბანდალით, ენის ბორძიკით.

ბესო მაინც იჯდა.

საკვირველი იყო როგორ უძლებდა ბესო: წინათაც საკმაოდ ნასვამი, როგორ იტანდა ამოდენ ღვინოს.

ემლებოდა სიმღერის მუხლები, მაგრამ მაინც ტკბილად მღეროდა.

ქეთომ, ლიზიკომ და მე ჯერ გეცადეთ რითიმე თავი გაგვერთო, მაგრამ აივანზე ხმაურობამ დაგვიშალა და ვერც ბანქოსი და ვერც ნარდის თამაში ვერ მოვახერხეთ, ეზოში კი სიომ სანთელი არ დაგვიყენა.

ისევ სეირნობა ვარჩიეთ.

მხიარულად ვმუსაიფობდით. ქეთოს თვალი სულ აივნისაკენ ეჭირა, საიდანაც ისმოდა სიმღერა და ცალ-ცალკე თითო-ოროლა სიტყვა.

-- აქ დავსხდეთ, -- მოგვიწოდა ქეთომ, -- აქედან კარგი გადასახედავია, სადაცაა მთვარეც ამოვა.

-- ცვარია! -- შეგვაჩერა ლიზიკომ.

-- რა უშავს, ხომ არ დავდნებით, --- უპასუხა ქეთომ.

-- ჩემი წყალობა კაბა არ გენანება, განა? -- თითქოს სტუქსავსო, დაეკითხა ლიზიკო.

ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ვიგრძენი თავი; შენიშვნა არ მომეწონა. მეგონა, მართლაც ნაჩუქარ კაბაზე გადაჰკრა ლიზიკომ მეგობარს.

-- წარმოიდგინე! -- ხელოვნურის აღშფოთებით დაიწყო ლიზიკომ. -- ამ ქალბატონს ჯვრისწერაზედაც ვერ ვნახავდით, რომ მე არ ჩავრეოდი საქმეში .. წინა კვირას გიჟი ბესო გაუწყრა: ჩეიცვი, რავა ჩამოხეულ-ჩამოტილული დადიხარო; ამ ქალბატონმა კი უპასუხა, სახლში უკეთესი რად მინდაო.

--- დაიცა, ქალო!.. --- შეაჩერა ქეთომ, მაგრამ ლიზიკომ ყური არ ათხოვა.

-- ...იცოცხლე, მივლანძღ-მოვლანძღე ორივე; ამას ჩერჩეტი დავუძახე, ბესოს კი მივდექი: შე უხეირო, სოფელ-სოფელ რომ გალემილი დეეთრევი, ერთი ცოლს ვერ შეხედავ. აქვს რამე ჩასაცმელი თუ არა-მეთქი? რომ ეუბნები. ჩეიცვი, ჩეიცვი. რომელი ფარჩა და ქინასური შენ მოგიტანია-თქო; ამ კონკის მეტი რომ არაფერი აქვს ხედავ-თქვა?!

-- მართლა მეტი არ გაქო? -- ბრძანა ერისთავთ ერისთავმა. წევიდა და ააშენა ღმერთმა მისი ოჯახი. ქე მოუტანა ქეთოს სატანისამოსე და წაღები... არა. შენ უნდა გეყურებია ამ ჭკუათხელ ქალბატონისათვის: ქა, ჩემთვის როგორ შევაწუხო, იქნებ ფული არა აქვს და ისესხოსო?" აი დარდს თუ ისესხებს --- ცოლი შეურთავს, ქეც უნდა მოუაროს!.. -- დაათავა ლიზიკომ თავისი მსჯელობა, დაჯდა, ქეთოს ხელი მოხვია, თითქოს ბოდის იხდიდა, შენი საიდუმლონი გამოვამჟღავნეო.

-- მადლობა ღმერთს, გაათავე... ახლა შენი ამბავი თქვი... რა მეოჯახე ხარ, რამდენი აბრეშუმი მოიწიე... იქნებ, შეებრალო და საქმრო გიშოვნოს. -- დაიწყო ქეთომ, რომ სამაგიერო გადაეხადა ლიზიკოსთვის, მაგრამ არ დასცალდა... უეცრათ გავიგონეთ ყვირილი:

-- რაო? ვის უბედავ?..

აივანზე ჯერ ერთი ყმაწვილი გამოვარდა, კიბე ჩამოირბინა და შეჩერდა... მას მოსდევდა ბესო.

ქეთო მათკენ გაიქცა... ჩვენც დავედევნეთ.

-- არა, შენ რავ ა გამიბედე, -- უყვიროდა ბესო და ყმაწვილს უახლოვდებოდა-

-- კმარა, რაც მიქენი.... არ მოხვიდე, თვარა არ დაგზოგავ.

-- არ დამზოგავ, თვარა! --- და ბესომ წინ წაიწია, მაგრამ უეცრათ დაიღრიალა:

-- მომკლა ამ გლახაკმა... -- ხელი მუცელზე მიიჭირა, დაიჩოქა

და ნელა მიწაზე პირდაღმა დაეშვა.

ჩვენ მხოლოდ წაქცეულს მივუსწარიტ. ქეთო და მე ვეცადეთ გადმოგვებრუნებინა, მაგრამ ბესო არ გვნებდებოდა.

-- არ გადააბრუნოტ, არ გადააბრუნოტ, -- გაგვაფრთხილა გამოცდილმა მეხანჯლემ, --- ასე სჯობია, სისხლი შიგ არ ჩაექცევა. შეგირცხვა ვაჟკაცობა, --- მიუბრუნდა კოწია ბესოს დამჭრელ ყმაწვილს, --- ხანჯალი წვერით ჩაგიცია.

--- რა მექნა, ვერ მოვიშორე და --- გაიმართლა თავი ყმაწვილმა.

-- კაია, კაი! ხანჯალი მაინც ჩააგე! ასეთ მდგომარეობაში არ ვიყო, გაჩვენებდი რაცხა ბიჭი ხარ!.. --- დაექადნა კოწია.

--- ახლა ნამეტანს ნურც შენ გაიტყლაჭები, --- შეუტია თავის მხრით შეურაცხყოფილმა ყმაწვილმა.

მეორე ჩხუბი მოხდებოდა, რომ გამზავებელნი არ ჩავარდნილიყვენ შუაში და თავხედი სტუმარი ხანჯლის წართმევის შემდეგ ერთი ვაი-ვაგლახით ცხენზე არ შეეჯინათ და ჭიშკარზე არ გადაეყვანათ.

ექიმზე კაცი ვაფრინეთ.

ქეთოს ხმა არ ამოუღია. თვალებ და ნესტოებგაფართოებული, პირდაღებული და გაყვითლებული იდგა.

წყალიც ვერ დაღია.

საჩქაროდ მოსულმა ექიმმა ბესოს ძლიერ საშიშო, მაგრამ არა სასიკვდილო ჭრილობა გაუკერა, ქეთოს წვეთები გამოუწერა, გვირჩია განსაკუთრებულის ყურადღებით ქეთოს მოვპყრობოდით და წავიდა.

მეც მასპინძლებს გამოვეთხოვე.

* *

ორი წლის შემდეგ ბესოს ეზოზე მომიხდა გზათ გავლა. ბესო არ იყო სახლში. ის და ახალი ცოლი სადღაც ნათლობაში წასულიყვნენ.

საზარი სურათი ვნახე:

ქეთო ცაცხვის ძირში იყო, უაზროდ, დინჯის ნაბიჯით მიდიოდა ის სულ წინ, სანამ წელზე შემორტყმული თოკი არ გაქაჩავდა, რომ შემობრუნებულს პირდაპირ, გზის გადუხვევლად განეგრძო სიარული.

ფეხშიშველი... შემოხეული, უსახელო კაბა... შეკრეჭილი თმა... ფერმკრთალი, დანაოჭებული სახე... გამომშრალი თვალები და განუწყვეტელი ბუტბუტი:

პირუტყვი... პირუტყვი... პირუტყვი.

მივუახლოვდი... ყურადღება მაინც არ მომაქცია; დაველაპარაკე -- ერთი კი შეჩერდა, მერე ისევ განაგრძო სიარული და ბუტბუტი:

ცხოველი... ცხოველი... ცხოველი...

ბესო უხსენე... შემომიბრუნდა... სახეს ტკბილმა სევდამ გადურბინა... ჩემია, ჩემია, ჩემია --- გაიმეორა უთვალავჯერ და ისევ და-

იწყო გაუთავებელი სიარული და ბუტბუტი:
პირუტყვი... პირუტყვი... პირუტყვი...
გამოვიქეცი,
ვერ გაუძელი,
ახლოს საზიზღარი,
შორით საცოდავი,
მოგონებაში სასოების მომგვრელი ქმნილების ცქერას...

1916 წ.